ეროვნული თავისუფლების გზით — პირადი თავისუფლებისაკენ!
პირადი თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 29 (1430) | 7-13 სექტემბერი 1995 წ.

რამდენი გიჟი, რამდენი მორფინისტი და რამდენი სუკ-ის აგენტია პარლამენტში?

ლია ნერილი პარლამენტის სპიკერს ბ-ნ ვახტანგ გოგუაძეს

ნოდარ გრიგალაშვილი

მეორე გვერდზე

ჯაბა იოსელიანი:

... მე იარაღი ცხელში რომ ჩამსვან, იქაც მექნება



მეორე გვერდზე

ჩვენი პრეს-სამსახურის ხელმძღვანელი ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილი იმყოფებოდა ცხინვალში.

გაეცანით რეპორტაჟს ამ «გაუცხოებული» ქალაქიდან

მეოთხე გვერდზე

რეპლიკა

ძირს ხუნტა!

შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმის თაობაზე, რომ 29 აგვისტოს ტერაქტის მცდელობის ორგანიზატორთა ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნად განუკითხაობა და ახალი ქაოსი დაიწყებოდა. ამიტომაც იქნა ერთხმად დაგმობილი ეს მცდელობა, თუმცა, ეს შეფასებანი არ ყოფილა ერთგვაროვანი. ამ მხრივ გამოვყოფდით საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ ამ მოვლენის შეფასების ერთ ასპექტს.

ბ-ნი ვიცე-სპიკერის შენიშვნით — თუკი ტერაქტი განხორციელდებოდა, მაშინ საქართველოში ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებდა ხუნტა და მოვლენებიც ზუსტად იმ სცენარით წარიმართებოდაო — როგორც ეს მოხდა ამ სამი წლის წინათო. პარალელი მართებული უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ბევრს, და მათ შორის ვ.რჩეულიშვილს არ ჰქონდა ამგვარი პარალელის გავლების მორალური უფლება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ის, ვინც სულ ახლო წარსულში, მაშინდელ სამხედრო გადატრიალებას დემოკრატიის გამარჯვებად მიიჩნევდა საქართველოში, დღეს ამგვარ პარალელებს აღარ უნდა მიმართავდეს.

ძირს ყოველგვარი ხუნტა, მაგრამ ვინ მოგვიწოდებს ამას?

მიხეილ მახარაძე

სუკ-ი

საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

მეხუთე გვერდზე

ფულიანი ტომრის რაინდები

მეშვიდე გვერდზე

ჯაბა იოსელიანი:

... მე იარაღი ციხეშიც რომ ჩამსვან, იქაც მექნება...

29 აგვისტოს მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ პარლამენტის საგანგებო სესია მრავალსერიანი დეტექტივივით მიმდინარეობდა. მაყურებელი მოუთმენლად ელოდა, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები და განვითარდებოდა თუ არა ისე, როგორც მას ჰქონდა ნავარაუდევი. მოგეხსენებათ, ფილმს თავისი გმირებიც ჰყავს და ანტი-გმირებიც, თუმცა ამ კინოსერიალში გმირების ნაცვლად „მოქმედი პირები" რომ ვიხმაროთ, ჰეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით. ამ „ოსტრასიუჟეტიანი" ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი ბატონი ჯაბა იოსელიანი გახლავთ, რომლის მიმართ ბოლო წლებში ინტერესი არ შენელებულა, ხოლო ამ დღეებში პიკსაც მიაღწია; როცა ჯერ საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს, ხოლო შემდეგ სესიაზე მოწვეულმა გენერალური პროკურორის მოადგილემ განაცხადა, რომ პარლამენტის შენობაში ჩატარებული ჩხრეკვის შედეგად, მაშველთა კორპუსის კუთვნილი ოთახებიდან ამოღებული იქნა იარაღი. ფული და ნარკოტიკული საშუალებები. ამის შემდეგ ჯაბა იოსელიანის მიერ ჩატარებული პრესკონფერენცია ნამდვილად „ჩაჯდა" კინოსცენარში (მოგეხსენებათ, ბატონი ჯაბა დრამატურგიც გახლავთ).

პრეს-კონფერენციაზე ბატონ ჯაბა იოსელიანთან ერთად, ჟურნალისტებს შეხვდნენ მაშველთა კორპუსის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები — ქალბატონი დოდო გუგეშაშვილი, ბატონები თორნიკე ბერიშვილი და ლონგი ჭელიძე.

ჯაბა იოსელიანმა პრეს-კონფერენცია იმით დაიწყო, რომ ირინა სარიშვილი - ჭანტურიას რჩევას: „თქვენთვის ჯობია, ბატონო ჯაბა, ციხეში წაბრძანდეთო" უპასუხა — მე ციხეში უკვე ვიყავი და ეხლა ვინმეს თუ უნდა, თვითონ ჩაჯდესო. თუმცა ისიც ახსენა, ყველაფერს შეჩვევა სცოდნია და ხანდახან ციხეც მესიზმრებაო.

რაც შეეხება იარაღს, იოსელიანი გულწრფელად გაკვირვებული იყო: „აბა დაცვას იარაღი არ უნდა ჰქონდესო?" და თან დასძინა: „მე იარაღი ადრეც მქონდა, ახლაც მაქვს და ციხეში რომ ჩამსვან, მაინც მექნებაო". ნაღმტყორცნებზე, ტყვიამფრქვევებზე, ყუმბარებზე კი განაცხადა — ეს ჯართია და საკოჭნაოში იყოო. ხოლო ქალბატონმა დოდომ დაუმატა, ვისია ეს იარაღი, არ ვიტყვი, ეს სამხედრო საიდუმლოებააო. ამის შემდეგ ჟურნალისტებს თავი აღარ შეუწუხებიათ ზედმეტი გამოკითხვით.

ნარკოტიკების საქმეც გავარკვიეთ, თითო ამპულა აუცილებლად უნდა ჰქონდეს მაშველთა კორპუსის თითოეულ წევრს, რომელიც მიდის დავალების შესასრულებლად. ხოლო რადგან მაშველთა კორპუსს კაბინეტები არა აქვს, ოთახი, სადაც ტკივილგამაყუჩებელი იყო მოთავსებული, ყველაზე უპრიან შესანახ ადგილად იქნა მიჩნეული. აი, კოდეინინ დანიშნულება აღარ გამირკვევია. დაზვერვაზე წასული მებრძოლებს ხველება რომ არ აუტყდეთ, ალბათ იმისთვის იყო განკუთვნილი.

ჟურნალისტების დამსულ კითხვაზე, ჰქონდა თუ არა იოსელიანს კავშირი გიორგაძესთან, მან უპასუხა, რომ 6 თვეა იგორი არ უნახავს, ხოლო მისი მამა, პანტელეიმონი, რომელსაც ბატონი ჯაბა კარგად იცნობს, ნამდვილი ვაუკაცია.

პრეს-კონფერენციაზე ითქვა, რომ პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატად პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონი" ალბათ აკადემიკოსს გურამ ხარატიშვილს დასახელებს.

ბატონმა ჯაბამ კიდევ ერთხელ შეახსენა ჟურნალისტებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებში მხედრიონელების წვლილი. ჩვენი ბიჭი დაჭრილია — განაცხადა ჯაბა იოსელიანმა, ჩვენ მივიღეთ აფეთქების პირველი დარტყმა, მაგრამ არ გვიწუწუნია და ქვეყანა არ შეგვიძრავს. მერე გადახედა გვერდით მჯდომ პარლამენტის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ გია ლომაძეს და უთხრა, ისე, შენც ხომ მხედრიონელი იყავი, რაზეც გია ლომაძის პასუხი — წევრი არ ვყოფილვარ, მეგობრები მყავდა მხედრიონელებიო და იოსელიანის მხიარული სიცილი მოჰყვა — ნუ გეშინია, არ გაგანთავისუფლებს შევარდნაძეო.

პრეს-კონფერენცია, რომელიც თითქმის 2 საათი მიმდინარეობდა, კიდევ გაგრძელდებოდა, რომ არ დაღამებულიყო და გარეთ სიბნელე არ ჩამოწოლილიყო. ხოლო ქუჩაში გვიან სიარული ჯერ კიდევ ცოტა არ იყოს სახიფათოა, მიუხედავად იმისა, ვისი პრეს-კონფერენციიდან მოდიხარ.

მარინა ფერაძე

რამდენი გიჟი, რამდენი მორფინისტი და რამდენი სუკის აგენტია პარლამენტში?

ღია წერილი პარლამენტის სპიკერს ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

ასეთ კითხვებს პარლამენტის დისკრედიტაციის მსურველნი იძლევიან, კითხვის საფუძველს კი თითო-ოროლა პარლამენტარი, მომავალში ერთმა უხეირომ მრავალი კვლავ რომ არ გასვაროს. ეს ღია წერილიც ამიტომ იწერება.

ბატონო ვახტანგ, მოგმართავთ სწორედ თქვენ, ვინაიდან პარლამენტის ხელმძღვანელი ბრძანდებით, ამასთანავე თქვენ იმ გამონაკლისთაგანი ხართ მმართველ გუნდში, ვისაც პარლამენტის ღირსების შელახვა არ უხარია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ამ წინადადებებს რომ მოგაწვდით, მთელი სერიოზულობით მოეკიდებით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ დღეს, პარლამენტის მუშაობის მე-3 წლისთავზე, თქვენ რომ ვინმემ გკითხოთ, რამდენი გიჟი, მორფინისტი და სუკის აგენტი გყავთ პარლამენტშიო, კონკრეტულ ციფრს ვერ დაუსახელებთ, რადგან არანაირი მექანიზმი ამის დადგენისა არ გაგაჩნიათ, არადა, პირველნიც, მეორენიც და მესამენიც რომ ბრძანდებიან ერის რჩეულთა შორის, ეს ეჭვს, ვფიქრობ, არც თქვენში იწვევს. ცხადია, თითო გიჟი ყველა სოფელს სჭირდება, მაგრამ ერის რჩეულთა შორის რომ გყავდეთ, მაინც უხერხული გამოდის...

დღევანდელი პარლამენტი ვინაიდან სულ მალე ჩაილურის წყალს დალევს, აწი მათ მოძიებას და გამოაშკარავებას აზრიც აღარ აქვს, მე გთავაზობთ რამდენიმე წინადადებას, რომელთა წინასწარ გათვალისწინებით თქვენ შეგიძლიათ მომავალი პარლამენტის ღირსება ამ მხრივ დროულად დააზღვიოთ. ამ მოსაზრებათა შემოთავაზების სურვილი ერთმა პროზაულმა ფაქტმა აღმიძრა.

მოგეხსენებათ, 29 აგვისტოს პარლამენტის ეზოში საშინელი ტერორისტული აქტი შედგა, რომელმაც კინაღამ შეიწირა სახელმწიფოს მეთაურისა და მისი თუ შენობაში მყოფი ადამიანების სიცოცხლე.

იმ საერთო ვიშვიშში, როცა შენობიდან თავპირდასისხლიანებული ადამიანები გამოჰყავდათ, ერთი პატივცემული ერის რჩეულთაგანიც გამობრძანდა. ჩემი, როგორც რედაქტორის დანახვა ძალიან გაუხარდა, ერთი აქეთ მობრძანდიო, — მითხრა და ხელკავით გამიხმო შეძრწუნებული ხალხის რია-რიიდან. ორად გაკეცილი ტკიცინა ცარცის ფურცელი ამოიღო, გაზეთში დამიბეჭდეო — გამომიწოდა. წავიკითხე, ცოტა არ იყოს შიშმა შემიპყრო და უხმოდ გავეცალე იქაურობას.

ამ უბედურებაში, იმ უბედურს ლექსი დაუწერია. აი, ასეთი:

დაჭრილ ვეფხვივით
ღრიალებს ბომბი
ანგრევს, აზანზარებს
პარლამენტს ბომბი
დღეს მე გადავრჩი
გელი და მოდი
საშვი არა გაქვს?
გექნება, მოდი
მოდი, მოდი,
მოდი და მოდი...

არ შემეშინდებოდა? ხელში გიჟის ცნობა მეჭირა! სხვათაშორის, ის შეჩვენებული შერეკილი რომ იყო, ადრე არაფერზე შემიტყვია, ჰოდა, ხომ შეიძლება, კიდევ აირჩიონ...

ერთი სიტყვით, მომავალი პარლამენტის დაზღვევის მიზნით, იქნებ დეპუტატობის მომავალ კანდიდატებს წინასწარ განუსაზღვროთ შემდეგი საბუთების წარდგენა საარჩევნო კომისიებში:

1. ფსიქიატრისაგან გაცემული ცნობა ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ. (იმ შემთხვევაში თუ დეპუტატობის შემდეგ დაემართება უბედურება ადამიანს, რისიც დიდი ალბათობაა ჩვენს ქვეყანაში, ცხადია, ფსიქიატრი პასუხს აღარ აგებს);

2. ცნობა იმის შესახებ, რომ კანდიდატი არ არის ნარკომანი (შენიშვნა: ყალბი ცნობის გაცემის შემთხვევაში ცნობის გამცემი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში);

3. ცნობა იმის შესახებ, რომ კანდიდატი არ არის და არ ყოფილა სუკის თანამშრომელი ან აგენტი (შენიშვნა: ცნობას ხელს უნდა აწერდეს უშიშროების კომიტეტის თავჯდომარე, ყალბი ცნობის გაცემის შემთხვევაში მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში);

ბატონო ვახტანგ, ცხადია, კარგი იქნებოდა, დეპუტატობის კანდიდატს ცნობა იმის შესახებაც წარმოედგინა, ჭკუა აქვს თუ არა, მაგრამ ვინაიდან ამ საბუთის გამცემი უწყება არ არსებობს, ისევ ხალხის სიფხიზლეს უნდა ვენდოთ, განსაკუთრებით პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელებისას, თორემ, ხომ შეიძლება, ვთქვათ, ბატონმა ქართლოს ღარიბაშვილმა ისევ მოინდომოს საქართველოს პრეზიდენტობა?..

ზემოწარმოდგენილი სამი წინადადების თქვენს მიერ პარლამენტში განსახილველად გატანა და მიღება, არა მხოლოდ მომავალი პარლამენტის შედარებითი სიწმინდის საფუძველი იქნება, არამედ ხელს შეუწყობს დეპუტატობის მაძიებელთა ერთგვარ გამოხშირვასაც, მოგეხსენებათ, „ მრავალნი არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ. ..."

სერიოზული პატივისცემით
ნოდარ გრიგალაშვილი

კიდევ ერთხელ ტერორიზმზე

ქრონიკა. ფაქტი. კომენტარი

29 აგვისტო. სამშაბათი. პარლამენტის შენობის ეზოში, დაახლოებით 18 სთ. 40 წთ-ზე, როცა სახელმწიფოს მეთაურის მანქანა ეზოდან გადიოდა, მოხდა აფეთქება. აფეთქდა იქვე, მახლობლად მდგარი ავტომანქანა „ნივა“, (პირველადი მონაცემებით, გამოყენებული იქნა დისტანციური მართვის აპარატი); ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თანმხლებ პირებთან, ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილთან და მეთაურის აპარატის ხელმძღვანელთან, პეტრე მამრაძესთან ერთად მოსწავლეთა სასახლეში მიემართებოდა კონსტიტუციის ხელმოწერის საზემო ცერემონიალზე — მსუბუქად დაიჭრა. სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღეს რჩეულიშვილმა, მამრაძემ, დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ; აგრეთვე დაიჭრნენ დაცვის წევრები. ორი მათგანი, საკმაოდ სერიოზულად.

ოპერატიულად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად დაჭრილები სასწრაფოდ იქნენ ჰოსპიტალიზებული . რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფმა ედუარდ შევარდნაძემ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „ესენი არიან არაკაცები... უნდათ ბანდიტების და მაფიოზების სათარეშოდ აქციონ ქვეყანა... ვერ ეღირსებიან“.

სახელდახელო ინტერვიუში, მეთაურის აპარატის ხელმძღვანელმა პეტრე მამრაძემ ეს ტერორისტული აქტი შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და არაორაზროვნად მიუთითა მომხდარის გამო უშიშროების სამსახურისა და „მხედრიონის“ პასუხისმგებლობაზე.

გვიან საღამოს, გაიმართა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრთა ერთობლივი შეკრება. მიღებულ იქნა განცხადება, სადაც შეკრებილებმა დაგმეს ტერორისტული აქტი.

გვიან ღამით, თბილისში, ხანგრძლივი ვოიაჟების შემდეგ დაბრუნდა უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე იგორ გიორგაძე.

30 აგვისტო. ოთხშაბათი. დილის ათ საათზე გაიხსნა პარლამენტის საგანგებო სხდომა. სხდომაზე გამოსულმა იგორ გიორგაძემ განაცხადა, რომ უკვე დაკავებულია ტერაქტის ჩატარებაში ეჭვმიტანილი ათკაციანი ჯგუფი და ითხოვა ხელშეწყობა პარლამენტისგან: „ან გადაწყვიტეთ ერთხელ და სამუდამოდ საკითხი, ან გვაცალეთ მუშაობა“. არაერთი პარლამენტარი მოითხოვდა ამავე სხდომაზე გიორგაძის გადაყენებას, მაგრამ კენჭისყრამდე საქმე არ მისულა.

15 სთ-ზე რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა მოქალაქეთა კავშირის ინიციატივით ორგანიზებული მიტინგი. გამომსვლელებმა დაგმეს ტერორისტული აქტი, როგორც დესტაბილიზაციისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. მიტინგზე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძეც და საჯაროდ განაცხადა, რომ „დათანხმდა პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას“.

31 აგვისტო. ხუთშაბათი. საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ პარლამენტის შენობაში, დეპუტატ ჯაბა იოსელიანის კაბინეტში ნაპოვნია 25 ავტომატი, 2 პისტოლეტი; 150 ცალი მორფინის ამპულა, 500 აბი კოდეინი. მაშველთა კორპუსის კუთვნილი საკუჭნაოდან და სარდაფიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ავტომატური იარაღი. აგრეთვე ამონალი, ტყვიები, ხელყუმბარები, რამდენიმე ნალმტყორცნი და ყუმბარმტყორცნი. ითქვა აგრეთვე, რომ დაპატიმრებულია ჯაბა იოსელიანის თანაშემწე, სახელმწიფოს მეთაურის ყოფილი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი — ალექსანდრე ბოჭორიშვილი.

1 სექტემბერი. პარასკევი. პარლამენტის სხდომის მიწურულს, როცა დამთავრდა საარჩევნო კანონის განხილვა, დეპუტატთა წინაშე გამოვიდა გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი, რომელმაც გაიმეორა წინა დღით საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემული ცნობები მაშველთა კორპუსის ოთახებიდან იარაღის ამოღების შესახებ. სხდომის შემდეგ გაიმართა ჯაბა იოსელიანის პრეს-კონფერენცია. ბატონმა ჯაბამ უარყო პროკურატურის მიერ წამოყენებული ბრალდებები და განაცხადა, რომ 25 ავტომატი მის დაცვას კანონიერად ეკუთვნოდა, ნარკოტიკები — კორპუსის წევრებს როგორც ამენიციის ნაწილი (ტკივილგამაყუჩებელი საშუალება) ინსტრუქციით ერგებათ, ხოლო სარდაფში და საკუჭნაოში ნაპოვნი იარაღი — ძირითადად მწყობრიდანაა გამოსული და ჯართია.

2 სექტემბერი. შაბათი. პარლამენტის სხდომის დასასრულს, ედუარდ შევარდნაძემ დააყენა საკითხი უშიშროების სამსახურის შეფის — იგორ გიორგაძის გადაყენების შესახებ. „შემოსულია 125 პარლამენტარის ხელმოწერით გიორგაძის გადაყენების მოთხოვნა, მეც მიმაჩნია, რომ მისი ამ თანამდებობაზე შემდგომი მუშაობა — შეუძლებელია“. ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (145 მომხრე, 8 წინააღმდეგი) იგორ გიორგაძე განთავისუფლებული იქნა თანამდებობიდან. საგანგებო ბრძანებულებით, სპეცდანიშნულების შენაერთები: „ალფა“, „ომეგა“, სადესანტო ბატალიონი უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურის დაქვემდებარებაში გადავიდა. უშიშროების თავმჯდომარის მოვალეობას დროებით შეასრულებს გიორგაძის ყოფილი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი.

იმავე საღამოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ დააკავეს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, სუს-ის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი...

გამოძიება გრძელდება...

კომენტარი: ტერორისტული აქტის შემდეგ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით, ასევე გარკვეულ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ინტერვიუ-პრეს-კონფერენციებით გამოიკვეთა მომხდარის შესახებ რამოდენიმე ვერსია. ტერაქტის ორგანიზება ე.წ. „ზვიადისტების“ მხრიდან სახელმწიფოს მეთაურმა თვითონვე ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნია. ეს ვერსია შექმნილ ვითარებაში მართლაც არ იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას. ასევე, თუ გავითვალისწინებთ ტერორისტული აქტის განხორციელების პერიპეტიებს, კერძოდ იმას, რომ აფეთქება ძალიან ძლიერი იყო, და რომ არა პირველი დარტყმის ვერტიკალური გავრცელება (აფეთქების ტალღის მიმართულების წინასწარ „დაგეგმვა“ კი კომპეტენტური წყაროების ინფორმაციით პრაქტიკულად შეუძლებელია) ქვემოდან ზევით — შედეგი გაცილებით მძიმე იქნებოდა. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მავანთა იჭვები — შევარდნაძემ ყველაფერი თვითონ მოაწყოო, სრულიად უსაფუძვლოა და უფრო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება, რაც შეეხება „მხედრიონსა“ და უშიშროების სამსახურს, ამ უკანასკნელი უწყების პასუხისმგებლობა საკამათო არ უნდა იყოს, მითუმეტეს, როცა თვითონვე აღიარებენ, ჩვენთვის ცნობილი იყო, „რაღაც“ ტერაქტი რომ მზადდებოდაო. (!). დამნაშავეა თუ არა მხედრიონი, კერძოდ მისი ლიდერი ჯაბა იოსელიანი, ამას იმედია გამოძიება დაადგენს. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ტერორისტული აქტი გამოიყენა მხედრიონის, როგორც სამხედრო-კრიმინალური დაჯგუფების ლიკვიდაციისთვის. რაც, თავისთავად, ისევე როგორც მოსკოვის პროტეჟე გიორგაძის განთავისუფლება, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით — დადებითად უნდა შეფასდეს. ისიც ნათელია, რომ შევარდნაძის დაღუპვის შემთხვევაში გარანტირებული იყო მდგომარეობის დესტაბილიზაცია და მაფიოზურ-პრომოსკოვული ძალების მიერ ხელისუფლების უზურპაცია. პრაქტიკულად დასამარდებოდა კასპიის პირველადი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გავლის პროექტი. აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ნამდვილად გადაურჩა ფრიად სერიოზულ საფრთხეს (სხვა საკითხია, რომ ამგვარი, მართლაც ფეთქებადსაშიში, ვითარების შექმნაში თვით შევარდნაძის „ღვაწლიც“ დიდია). იქმნება ახლო წარსულში მოძალებულ კრიმინალურ ელემენტთა პოლიტიკიდან საბოლოო განდევნისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის განვითარების რეალური პერსპექტივები. როგორ გამოიყენებს ამ შანსს სახელმწიფოს მეთაური — მომავალი გვიჩვენებს.

რეზო ახვლედიანი

პასუხი «ალიონელებს»

ძვირფასო კოლეგებო, უპირველეს ყოვლისა, მადლობას გწირავთ, რომ ჩვენს გაზეთს ინტენსიურად მიმოიხილავთ თქვენს გადაცემებში, ამასთან, მინდა მცირე განმარტება მოგაწოდოთ 4 სექტემბრის სიუჟეტთან დაკავშირებით.

პრესის მიმოხილვაში თქვენს მიმომხილველს გაზეთ „საქართველოს“ ერთ პუბლიკაციასთან დაკავშირებით უბრძანებია: დაწვრილებით აღწერს რა გაზეთი ცნობილი ტერორისტული აქტის შესახებ მოვლენებს, იმავდროულად სახელმწიფო მეთაურზე თავდასხმის ფაქტს მხოლოდ პოსკრიპტუმში აფიქსირებსო, ამასთან დაკავშირებით, როგორც „ალიონის“ მაყურებლებმა გადმომცეს, საუბარში მცირე ირონიაც გაურევია.

ეს ირონია სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — აღნიშნულ პუბლიკაციას ქვემოთ აწერია ინფორმაციის დაწერის დრო — 19 სთ.

ხსენებული პუბლიკაციის ავტორი თავად გახლავართ, ვიყავი ამ ტრაგედიის თვითმხილველი, ჩემს გვერდით იდგა (იმავე წუთებში მოვიდა) ტელევიზიის ხელმძღვანელი ბატონი არჩილ გოგელია, სხვათაშორის არც მან, არც მე და არც არავინ იქ მყოფთაგანმა იმ წუთებში არაფერი ვიცოდით რა მოხდა. გარდა იმისა, რომ იწვოდა 10-მდე მანქანა. ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, არ შეგვეძლო დანახვა, იქ ვინმე იმყოფებოდა თუ არა, არც სახელმწიფოს მეთაურის შესახებ იყო რაიმე ცნობილი. ასე რომ, ამ ინფორმაციაში საირონიო არაფერია, პირიქით, მისი ღირსება ის არის, რომ ზუსტად დაფიქსირდა პირველი შთაბეჭდილება. გაზეთი უკვე იბეჭდებოდა, როცა პოსკრიპტუმი გაკეთდა. რაკი დრო წერილის ბოლოს მითითებულია, კოლეგებს ირონიის საფუძველი აღარ უნდა ჰქონოდათ...

P.S. თუკი ინფორმაცია 19 საათზე უკვე სტამბიდან გავიდა, იმედია კოლეგები მიხვდებიან, იგი პირდაპირ ცეცხლსა და რია-რიაში ვერ დაიწერებოდა. ე.ი. შემთხვევის ადგილიდან უფრო ადრეა წასული თქვენი მონა-მორჩილი, რათა მეორე დღისათვის ინფორმაციის დასტამბვა მოგვესწრო.

ასე რომ, როცა ტექსტში საირონიო არაფერია, და მაინც ქილიკის ხასიათზე დგება წამკითხველი, ცხადია, ეს მის დიდ იუმორისტულ ნიჭზე არ მეტყველებს...

პატივისცემით
ნოდარ გრიგალაშვილი

ცხინვალში...

26 აგვისტოს ჰელსინკის მოკალაქეთა ანსამბლეის V! სემინარის დელეგაციის შემადგენლობასთან ერთად გახლდით ქ. ცხინვალში, რათა ადგილზე გავცნობოდით რეალურ ვითარებას.

მიგვიღო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედიევმა. მიღება იყო თბილი. დიმიტრი მედიევმა აღნიშნა, რომ აფხაზებისგან განსხვავებით ცხინვალელი ოსები კატეგორიულად არ მოითხოვენ ჯერ გადაწყდეს პოლიტიკური საკითხები და შემდეგ მხოლოდ სამეურნეო და ლტოლვილთა საკითხები. მათ მიაჩნიათ, რომ სამეურნეო საკითხების გადაწყვეტამ უნდა დააჩქაროს ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა, რაც მშვიდ ვითარებას შექმნის პოლიტიკური საკითხების გარშემო დიალოგის გასამართავად. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საუბრისას რამდენჯერმე ითქვა, რომ ცხინვალისა და აფხაზეთის პრობლემების ერთმანეთთან დაკავშირება არ შეიძლება. ეს სხვადასხვა საკითხებია. მინიშნებები კეთდება იმაზე, რომ მათთან უფრო ადვილი შესაძლებელი იქნება რთული პრობლემების გადალახვა, ვიდრე აფხაზებთან. თუმცა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისას ითქვა, რომ აქ ეს პრობლემა უფრო მრავალწახნაგოვანია, ვიდრე აფხაზეთში და შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე სპეფიციკური საკითხი. კერძოდ, ქართველების დაბრუნება ვერ მოხერხდება მანამ, სანამ არ დაბრუნდებიან თავიანთ სახლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან დევნილი ოსები, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ცხინვალში ქართველთა სახლებში. ხოლო ოსები ვერ ბრუნდებიან თავიანთ სახლებში იმიტომ, რომ ეს სახლები დაიკავეს ქართველებმა, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ სამაჩაბლოს კონფლიქტთან. ასე რომ, შეიქმნა მოჯადოებული წრე, რომლის გარღვევა ქართულმა მხარემ უნდა იკისროს.

ბატონმა მედიევმა აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოწესრიგებისას ხელმძღვანელობენ 1994 წლის ივნისში ქ. ვლადიკავკაზში ხელმოწერილი ოთხმხრივი ხელშეკრულებით, სადაც დაფიქსირებული ყოფილა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაც. ამა წლის 1 სექტემბერს იწყება მუშაობა ექსპერტთა ჯგუფებში, რომელთა ნაყოფიერი მუშაობის იმედი გამოთქვა ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ხაზი გაესვა იმას, რომ სამხრეთ ოსეთისთვის ყოველთვის აქტუალური იქნება ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება. ეს არის ამ ორი ხალხის საბოლოო მიზანი. მიუხედავად იმისა, ეს მოხდება რუსეთის ფარგლებში, საქართველოს ფარგლებში, თუ ცალკე.

მთელი ძალებითაა გაშლილი კვაისის ფერადი ლითონების საბადოების ექსპლუატაცია. ძირითადად ამუშავებენ ტყვიასა და ცინკს. ნედლეულს ამუშავებენ ვლადიკავკაზის ქარხნებში. როგორც აღმოჩნდა, ქართულ მხარეს ოფიციალურად არასოდეს არ განუცხადებია პროტესტი ამ ნედლეულის უცხო ქვეყანაში გატანის გამო.

საუბარი იყო აგრეთვე ცხინვალის გავლით რაჭისკენ მიმავალი ავტობუსების მარშრუტების აღდგენაზე. ოსური მხარე თურმე მიესალმება ამ წინადადებას, საჭირო ყოფილა მხოლოდ გზის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება.

მინისტრის კაბინეტში გამორჩეულ ადგილზე იყო მოთავსებული ბოსნიის სერბთა ლიდერის რადივან კარაჯიჩის მაღალხარისხოვანი სურათი. აგრეთვე ყურადღებას იქცევდა კედელზე გაკრული ამიერკავკასიის რუქა, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცალკე ფერებით იყო გამოყოფილი, ლურჯად იყო დაშტრიხული ჯავახეთი, ხოლო მწვანედ — ქვემო ქართლი.

მიღების შემდეგ მიგვიწვიეს ქორწილში, სადაც მშვენივრად მიგვიღეს. მოველოდი, რომ იქ მივირთმევდი უკვე მონატრებულ ოსურ ხაბიზგინებს, მაგრამ მის მაგივრად დაგვხვდა ჭადი და სულგუნი. სუფრა სავსე იყო ქართული პროდუქციით: ლიმონათი, კოკა-კოლა და სხვა. დელეგაციის ქართველი წევრების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი იყო. ბევრმა ოსმა ქართულად დალაპარაკებაც კი გაბედა ჩვენთან.

საერთოდ ცხინვალში ვითარება აშკარად შეცვლილია. ერთი წლის წინ ქართულნომრიან მანქანებს საკმაოდ მტრულად უყურებდნენ, ახლა კი ამას ყურადღებას არავინ არ აქცევდა. თუმცა, [illegible] უნდა, კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი ეტაპები ჯერ კიდევ წინაა.

დღის ბოლოს შევხვდით რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ მერკურიევს. მასთან საუბარმაც დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ იმ დოკუმენტებში, რომლებიც არეგულირებენ სამშვიდობო ძალების მანდატს, არაფერი არ არის ნათქვამი ქართველი ეროვნების იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ. მაგალითად მოიყვანა უკვე ზემოთ ნახსენები 1994 წლის ივნისში ხელმოწერილი ოთხმხრივი ხელშეკრულების ტექსტი, სადაც ლაპარაკია მხოლოდ „საქართველოს შიდა რაიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებაზე“, ანუ მხოლოდ ოსების დაბრუნებაზე. აფხაზეთიდან მიღებული გამოცდილებით აბსოლუტურად არ გამკვირვებია ქართული მხარის მიერ ქართველი მოსახლეობის ინტერესების ასეთი უგულვებელყოფა.

პაატა ზაქარეიშვილი

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრის ხელმძღვანელი

31.08.95

წკავწკავი რესპუბლიკელთა გარშემო

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის დეპუტაცია პარლამენტში არათუ ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქციაა, იმავდროულად ყველაზე აქტიური პოლიტიკური ძალა გახლავთ. პარლამენტართა მოვალეობა, მოგეხსენებათ, არა მარტო სახელმწიფოს მეთაურის თუ აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა მაღალი ჩინოვნიკის ლანძღვა ან ქება-დიდება გახლავთ, არამედ კანონების დაწერა, მიღება. პარლამენტს მისაღები ჰქონდა კანონთა კანონი კონსტიტუციაც.

საპარლამენტო უმრავლესობაში მრავალი დეპუტატი ბრძანდება ისეთი, რომელთაც ამ სამი წლის მანძილზე, არათუ რაიმე კანონის, მით უფრო, კონსტიტუციის დაწერაში მიუღია მონაწილეობა, არამედ ეს კანონები და, სულო ცოდვილო, ვგონებ, თვით კონსტიტუციაც წაკითხული არ აქვს. მათი „მძიმე“ საპარლამენტო შრომის ერთადერთი სფერო გახლავთ სახელმწიფოს მეთაურის ან მისი დანიშნული კაცის ქება-დიდება.

მეორე მხრივ, ოპოზიციაშიც არიან დეპუტატები, რომელთაც მაქებართა საწინააღმდეგოდ მხოლოდ მლანძღველთა მისია იკისრეს, ეს იყო და ეს.

მესამე კატეგორიის დეპუტატებიც გახლავთ. ჯერ აქებენ, მერე ლანძღავენ, ან პირიქით, იმისდა მიხედვით, მათდამი როგორი იყო უმაღლესი ხელისუფალის დამოკიდებულება...

რაც შეეხება კანონებს ან კონსტიტუციას, მას არსთა გამრიგე არ წერდა, დეპუტატების დასაწერი იყო და ამ საქმეში ლომის წილი ყოველთვის რესპბლიკელებს ჰქონდათ. სწორედ ამიტომაც მოვლენების შუაგულში ისინი ტრიალებდნენ და ყველაზე მეტი ლანძღვა, ჩვენი ცხოვრების პარადოქსების გათვალისწინებით, მათ ხვდებოდათ. გახსოვთ ალბათ რამდენჯერ უყვირია ვიცე სპიკერ რჩეულიშვილს — რა გააჭირეთ საქმე, სულ რესპუბლიკელები რომ დგახართ მიკროფონებთანო, თითქოს პარლამენტი სამუშაო ადგილი არ იყოს...

ან თითქოს მიკროფონთან მისვლას ვინმე უშლიდა რომელიმე გამოსაძინებლად მოსულ დეპუტატს, რომელიც მხოლოდ მაშინ გამოიღვიძებდა, თუ მის რჩეულს ახსენებდნენ...

კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რესპუბლიკელთა წინააღმდეგ მორიგი წკავწკავი ატყდა, ესაო, რაკი კონსტიტუციის მიღებას ხმა მისცეს, მოვაჭრე პარტია ყოფილაო.

ეს უფრო სიხარულის ყიჟინა იყო, აქაოდა, თქვენც ჩვენნაირები ყოფილხართ და სისუფთავეზე ნუ სდებს თავსო.

არა ბატონებო, რესპუბლიკელებს ერის ინტერესებით არასოდეს უვაჭრიათ, სხვათაშორის, მრავალი პარტიისაგან განსხვავებით, რომელნიც თუ თავისთავს იგულისხმებენ და გამოგვიწვევენ, მარტივად დავუსაბუთებთ ამას.

მოხდა ადვილად ასახსნელი რამ. კონსტიტუციის მიღებას ქვეყნისათვის მეტი პლუსები ჰქონდა, ვიდრე არმიღებას, ვინაიდან რესპუბლიკელების ხმებს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ ბოლომდე მართლაც შიშის ქვეშ ამყოფეს უმრავლესობა, თუ ჩვენს წინადადებებს არ მიიღებთ, ანუ ჩვენს მიერაც დაწერილ კონსტიტუციას ბოლომდე დაგვიმახინჯებთ, ხმას არ მივცემთო, ამ „ვაჭრობაში“ მათ უამრავი ერისათვის სასიკეთო შესწორება შეიტანეს, მათ შორის უკეთესი საარჩევნო კანონიც, და ამ შესწორებების შემდეგ მისცეს ხმა. განა პოლიტიკური ბრძოლის ეს მეთოდია ვაჭრობა?

რა მოიგო ამ „ვაჭრობით“ თვით რესპუბლიკურმა პარტიამ?

— არაფერი.

რა მოიგო ამ „ვაჭრობით“ საქართველომ?

მოიგო ის, რომ რესპუბლიკელთა შესწორებების გარეშე ქვეყანა მიიღებდა უფრო ცუდ კონსტიტუციას. (სხვათა შორის, საპრეზიდენტო ინსტიტუტი გავიდა სწორედ რესპუბლიკელთა გარეშე). პარლამენტი რომ მიიღებდა უფრო ცუდ კონსტიტუციას, ამაზე ორი აზრი არ უნდა იყოს, რადგან უმრავლესობას კიდევ რამდენიმე კაცის გამოძახება დასჭირდებოდა სხდომაზე თავის „სათადარიგო შემადგენლობიდან“ და დოკუმენტს მაინც მიიღებდნენ.

ე.ი. რესპუბლიკელთა „ვაჭრობით“ მოუგია საქართველოს, უფრო ცუდის ნაცვლად მიიღო უკეთესი კონსტიტუცია, ამით, ცხადია, რესპუბლიკელებმაც მოიგეს, როგორც ეროვნული ინტერესების მსახურთ და არა ვიწრო-პარტიული ინტერესებისა, რადგან, ყოველი პარტიის მოგება ის უნდა იყოს, თუ ქვეყანა მოიგებს, თუნდაც ვიწრო პარტიული ინტერესების საზარალოდ, პარტია, რომელიც ასე არ ფიქრობს, კაცმა რომ თქვას, არც არის საჭირო რომ არსებობდეს...

რუსის ჯარი შატილში

1995 წლის 4 სექტემბერს ჩატარდა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომა. ეროვნულმა კომიტეტმა იმსჯელა პარტიის სიმბოლიკის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს სხდომაზე დაამტკიცოს გრპ-ის სიმბოლოს „ხარის“ წარმოდგენილი ვარიანტებიდან ერთ-ერთი.

ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გრპ-მ საქართველოს პარლამენტის მომავალ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა სახელით „რესპუბლიკელები“. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად პარტიიდან დანიშნულია **გიორგი ჯანდიერი**, ხოლო რწმუნებულად — **გურამ ბერიშვილი**. გაფორმდა შესაბამისი განცხადება, რომელიც წარედგინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გრპ-ს ეროვნულმა კომიტეტმა იმსჯელა შატილში რუსეთის სასაზღვრო ჯარების შენაერთის განლაგების თაობაზე. ხაზი გაუსვა იმას, რომ რაც აღნიშნული შენაერთი განლაგდა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის, ჩეჩნეთის მონაკვეთის გასწვრივ, საგრძნობლად დაიძაბა ურთიერთობა ადგილობრივ ქართველ და მოსაზღვრე ჩეჩენ მოსახლეობას შორის. ითქვა, რომ ამდაგვარი წინდაუხედავი ღონისძიების განხორციელებამ შეიძლება დიდი დაპირისპირება გამოიწვიოს ქართველ და კავკასიელ ხალხთა შორის. გადაწყდა საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ გრპ-მ გააკეთოს შესაბამისი განცხადება.

ბოლო საკითხად ეროვნულმა კომიტეტმა მოისმინა პარლამენტის წევრის გურამ ბერიშვილის ინფორმაცია სახელმწიფოში მიმდინარე ფულად საკრედიტო პოლიტიკის შესახებ. ჩამოყალიბებულ იქნა პარტიის ძირითადი პრინციპები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გრპ-ის პრესსამსახური

ჯ. ბარონი
სუკ-ი
საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

გაგრძელება. დასაწყისი №26,27,28

V ნაწილი

„ძველი რუსეთის მეშახტეებთან შედარებით, კომბინეზონებში გამოწყობილ კოლიმელ კაცებს შეუძლიათ დახარჯონ გაცილებით მეტი ოდენობის მანეთები... სრულიად ნათელია, რომ აზრი და მნიშვნელობა ამჟამინდელი ცხოვრებისა ციმბირში არაფრით არ შეედრება გადასახლებულთა წარსული დღეების ცხოვრებას...“

იური ნოსენკო აცხადებს, რომ, როცა იგი ეხმარებოდა მოსკოვში ამერიკელების წინააღმდეგ ოპერაციების მართვაში, კპ ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად არაორაზროვნად უბრძანა სუკ-ს, გაეგრძელებია ზეწოლა სტუმრადმყოფი უცხოელების აზრის ჩამოყალიბებაზე. ამ მისიის შესრულებაში მოცემულ ეტაპზე დიდ დახმარებას სწევს სუკ-ის ხელთ არსებული შესაძლებლობები: ფარულად აკონტროლოს და შემოზღუდოს საცხოვრებელი ადგილი, მოგზაურობები და შეხვედრები მოსახლეობასთან. სუკ-ი ზრუნავს მხოლოდ იმაზე, რომ უცხოელი გაესაუბროს მხოლოდ განსაზღვრულ ჩინოვნიკებს; წყვეტს, რა უნდა ნახოს მან და რა არა, რითაც სასურველი მიმართულებით წარმართავს უცხოელის შთაბეჭდილებების ფორმირებას რთული ოპერაციების ჩატარების გარეშე. გავლენიანი უცხოელები, საბჭოთა კავშირს სუკ-ის მიერ თავსმოხვეული (პირდაპირ ან ირიბად) ყალბი შთაბეჭდილებებით რომ სტოვებენ, ზოგჯერ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე თავიანთ ქვეყნებში. ცალკეულ შემთხვევებში ხერხდებოდა თვალყურის მიდევნება ყალბი ინფორმაციის ზემოქმედების შედეგებზე, რომელსაც გადასცემენ პატიოსანი, მაგრამ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები. მოვიყვანთ მაგალითებს.

მწვავე საბინაო კრიზისი და საბინაო პირობების მინიმალურ ნორმებთან შეუსაბამობა წარმოადგენს, მართლაც, იმ ერთადერთ პრობლემას საბჭოთა სინამდვილეში, რომელიც ცდილობს ამოვარდეს გაჩუმების და მიჩქმალვის ჩარჩოებიდან ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან.

ეს ზოგადი მდგომარეობა არ წარმოადგენს საიდუმლოს, რამდენადაც შეუძლებელია მისი დამალვა. ლეგაისის უნივერსიტეტის პროფესორი დონალდ დ. ბარი აღნიშნავს: „საცოდავი მდგომარეობა შედარებით ახალი საცხოვრებელი სახლებისაც კი წარმოადგენს მუდმივი საჩივრების ობიექტს საბჭოთა პრესაში“.

მიუხედავად ამისა, 1968 წლის 7 მაისს ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ გოვარდ ჯ.სამუელსმა განაცხადა თავისი გამოსვლის დასაწყისში: „საბჭოთა კავშირმა ბევრად გაუსწრო შეერთებულ შტატებს თავისი ხალხის მწვავე საბინაო მოთხოვნების გადაჭრაში, და სავსებით შესაძლებელია, რომ ის გახდეს პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც მოსპობს ჯურღმულების სიმახინჯეს“. საინტერესოა ვიცოდეთ, რა იცოდა ისეთი სამუელსმა საბჭოთა საბინაო საკითხის შესახებ, რაც არ იყო ცნობილი კოსიგინისათვის, ბრეჟნევისა და საბჭოთა პრესისათვის?

ვაჭრობის სამინისტროში გაიგზავნა შეკითხვა თომას ლანგმანის მისამართით, რომელიც წარსულში სამუელის თანაშემწე იყო და ავტორია ზემოთმოყვანილი სიტყვებისა. მან აცნობა პასუხად, რომ ყველა მოხსენება საბჭოთა საბინაო საკითხის შესახებ დიდწილად ეყრდნობოდა ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სტანდარტების განყოფილების დირექტორის — ა. ალან ბეიტსის მონაცემებს. ბეიტსის აღმოჩენებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლანგმანზე. „გასაგებია, რომ რუსული ქოხების ხარისხი ბევრად ცუდია, ვიდრე ჩვენისა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მათ გადაწყვიტეს იქ მცხოვრებ ადამიანებზე ზრუნვის პრობლემა, — უთხრა მან ჟურნალისტებს, რომლებმაც მისგან ინტერვიუ აიღეს. სააბაზანო ოთახები, შესაძლებელია, არც ისე მოდურია, მაგრამ ისინი იყენებენ სამრეწველო ტექნოლოგიას მაშინ, როცა ჩვენ ამას არ ვაკეთებთ... ჩვენ ის უნდა ვაკეთოთ, რასაც რუსები აკეთებენ“. ლანგმანმა ბეიტსი დაახასიათა, როგორც „დიდი მკვლევარი რუსულ საბინაო საკითხში“. ეს მართლაც ასეა.

1969 წლის აპრილში შეერთებული შტატების კონგრესის გაერთიანებულმა ეკონომიკურმა კომისიამ საბჭოთა საბინაო საკითხის შესახებ გამოაქვეყნა მოკლე მოხსენება ბეიტსის ტრაქტატთან ერთად. იგი ასე იწყებოდა: „საბჭოთა კავშირი არის პირველი, და ჯერჯეროობით ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც გადაწყვიტა დაბალი ღირებულების, მაგრამ მისაღები, საბინაო პირობების შექმნის პრობლემები თავისი უზარმაზარი რაოდენობის მოქალაქეთა მასისათვის. რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, შეიძლება 10 წლის შემდეგაც, ყველა სცნობს მთელს მსოფლიოში, რომ სხვა დიდ ქვეყნებს შორის სსრკ-ს მოსახლეობას აქვს ყველაზე უკეთესი ბინები. უდიდესი იქნება ასეთი მდგომარეობის პოლიტიკური მნიშვნელობა. შეერთებული შტატები გაწამდება გამანადგურებელი შედარებებისაგან“.

ასხამდნენ რა ხოტბას საბჭოთა კავშირს „უმაგალითო პიონერობის ცხოვრებაში გატარებისათვის ადამიანთა მასების მოტივაციისა და ორგანიზაციის დარგში“, ბეიტსი აღნიშნავს, რომ საბჭოთა დამპროექტებლები, ამერიკელებისაგან განსხვავებით, არ ხარჯავენ ფართს „მფლანგველ მოწყობილობებზე სპორტული ვარჯიშებისათვის, გასართობი სახლებისათვის ან კიდევ უბრალოდ პირადი პრესტიჟისათვის“. იგი განმარტავდა . „ურბანიზაციის საბჭოთა იდეალს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ამაღლება კაცობრიობის ცნობიერების ახალ საფეხურზე“. დასასრულს ბეიტსი წერს, რომ „ყველა ურბანიზებული ერი, ალბათ, შეერთებული შტატების ჩათვლით, იძულებული იქნება საბოლოო ჯამში შეეჯიბროს „საბჭოთა საბინაო პოლიტიკას და პრაქტიკას“.

მაგრამ ბეიტსი არსად მთელს თავის ტრაქტატში არ მიუთითებს არც ერთ დამოუკიდებელ წყაროზე და არ მოჰყავს ობიექტური ცნობები საბჭოთა თუ რომელიმე სხვა, განსაცვიფრებელი აღმოჩენების სასარგებლოდ. ხალხი, ვინც მისგან ინტერვიუებს იღებდა, ეკითხებოდა მას, რა საფუძველი ჰქონდა ასეთი უნიკალური დასკვნებისათვის. იგი პასუხობდა, რომ 1959 წლიდან მოყოლებული, იგი მუდმივად დადის საბჭოთა კავშირში. „ჩემი განცხადებები საბჭოთა საბინაო საკითხებზე ემყარება ჩემს პირად დაკვირვებებს, — პასუხობდა იგი, — მე მოვიარე მთელი მსოფლიო; ნებისმიერ სხვა ამერიკელზე მეტი ვნახე, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. არა, მე ვერ დავეთანხმები ვერანაირ სამთავრობო ანგარიშს ან ცნობებს, ჩემი განცხადებები ემყარება პირად დაკვირვებებს. ჩემი დასაბუთებანი გაერთიანებული ეკონომიკური კომისიის წინაშე? ისევ და ისევ ვიმეორებ, იგი ემყარება ჩემს პირად დაკვირვებებს“. ბეიტსმა უარი თქვა მოეყვანა დამამტკიცებელი დასაბუთება მისი თუნდაც ერთი ექსტრავაგანტური მტკიცებისათვის“. მე ვიყავი ასზე მეტ ქალაქსა და სოფელში საბჭოთა კავშირში, და მე ვიცი იქ რაც ხდება. ჩემი კავშირები? მე უბრალოდ არა მაქვს დრო ჩამოვთვალო ის მრავალი ათეული მაღალი რანგის ავტორიტეტული პირი, რომელთანაც მე მქონია საუბარი. როგორც უნდა იყოს, თქვენ უნდა გაიგოთ, რომ მე ჩემს ინფორმაციას ვაგროვებ ქარხნების მონარალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა მოულოდნელად შეწყვიტა თავისი ტურნე აღმოსავლეთ ევროპაში და აჩქარდა დაბრუნებულიყო შინ, საბჭოთა კავშირში. თვითმფრინავი ის იყო დაეშვა მიწაზე, რომ იგი მაშინვე გაემართა მაღალი თანამდებობის პირებისათვის განკუთვნილი დასვენების ოთახისაკენ, სადაც მას ელოდნენ სუკ-ის თავმჯდომარე იური ანდროპოვი და პოლიტბიუროს წევრები. ამდენად გადაუდებელი თათბირის შედეგი იყო დიდი ხნის წინ დაგეგმილი ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის საპატივსაცემოდ სახელმწიფო მიღების მოულოდნელად გადადება, რამაც აფორიაქება გამოიწვია.

მანამდე სამი დღით ადრე დიდმა ბრიტანეთმა გამოაძევა საბჭოთა დაზვერვის 105 თანამშრომელი, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სახელმწიფო მოხელეთა დისკრედიტაციისა და ტექნოლოგიური ინფორმაციის მოპარვის სრულიად თავხედურ კამპანიაში. არასოდეს ადრე არც ერთ ნაციას არ უმოქმედია ამდენად პირდაპირ და ეფექტურად სუკ-ის წინააღმდეგ. პირწმინდად იქნა აღგვილი ძირგამომთხრელი საქმიანობის მთელი ბაზა. მაგრამ განცხადება, რომელიც ახლდა თან გამოძევებას, პოლიტბიუროსათვის იყო კიდევ უფრო მეტი

თავი XIII
ბნელი ბირთვი

1971 წლის 27 სექტემბერს, ორშაბათ დღეს, სკკპ ცკ გენგანგაშის მიზეზი. მასში რუსებს აცნობებდნ[illegible] ლისელებმა [illegible] ქვეშ აიყვანეს ოლეგ ადოლფის ძე ლიალინი, კაცი, რომელიც წარმომადგენელი იყო სუკის ყველაზე ბნელი ძალების — ზესაიდუმლო განყოფილებისა, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით განყოფილება „B“ და განაგებდა საბოტაჟს და მკვლელობებს მთელს მსოფლიოში. სუკ-მა აცნობა საბჭოთა ხელმძღვანელობას, რომ დეზერტირს შეეძლო ემხილებია „B“ განყოფილების თანამშრომლები და მათი ოპერაციები სხვა ქვეყნებში. პოლიტბიუროს ეშინოდა, რომ სხვა ქვეყნებიც, გაიგებდნენ რა თავის რიგებში საბჭოთა დივერსანტი — პროფესიონალების ყოფნის შესახებ, უბრალოდ მიბაძავდნენ დიდი ბრიტანეთის მაგალითს. მალე, აეროპორტში პოლიტბიუროს საგანგებო სხდომის შემდეგ, „B“ განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ დასავლეთ ნახევარსფეროში, ევროპაში აზიაში და აფრიკაში, მიიღეს ბრძანება მიეტოვებიათ თავიანთი პოსტები.

„B“ განყოფილების სხვადასხვა თანამშრომელთა ამჟამად უკვე მხილებულმა ოპერაციებმა ნათელი მოჰფინეს ბევრ რამეს. ისინი უჩვენებენ, რომ „B“ განყოფილება აქტიურობას იჩენდა ყველა კონტინენტზე, შეისწავლებოდა განადგურების მიზნით როგორც ეკონომიკური, ისე ადამიანური სამიზნეები. უცხოეთის მთავრობების მიერ ასეთი ოპერაციების ნაწილობრივი გამომზეურებები მიუთითებდა იმაზე, რომ კრემლს საბოტაჟის ოპერაციები განზრახული ჰქონდა არა მხოლოდ ომის შემთხვევისათვის, არამედ განსაზღვრულ მშვიდობიან პირობებშიც. რამდენად საშიშიც არ უნდა ყოფილიყო ეს ოპერაციები, უფრო საგანგაშო იყო აზრი, რომელსაც ისინი სახავდნენ. არსებობამ და მუდმივმა გამოყენებამ ისეთი იარაღისა, როგორიც იყო „B“ განყოფილება, გამოაჩინა, რომ საბჭოთა კავშირი იყო ფარული ძალადობის პრინციპის მიმდევარი.

გაგრძელება იქნება



საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წესდება

მიღებულია: საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობაზე

1.1. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია (შემდგომში „პარტია“) არის საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება.

1.2. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

1.3. პარტია თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს საქმიანობის მხოლოდ კონსტიტუციურ ნორმებს.

1.4. პარტიის ორგანიზაციული წყობა და საქმიანობა ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს. მიზნის მიღწევის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისას პარტია აღიარებს აზრისა და სიტყვის თავისუფლებას.

1.5. პარტიასთან, მის სტრუქტურულ ერთეულებთან შეიძლება შეიქმნას მხარდამჭერი ჯგუფები, ასოციაციები და გაერთიანებები.

1.6. პარტია არის იურიდიული პირი.

1.7. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

1.8. პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

თავი II
პარტიის მიზნები

2.1. პარტიის მიზნებია:

— საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებით მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა;

— საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, მისი კონსტიტუციური ინსტიტუტებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;

— თავისუფალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება;

— საკუთრებისა და თავისუფალი ეკონომიკის დამკვიდრება და დაცვა;

— მმართველობის რესპუბლიკური ფორმის დამკვიდრება, დაცვა და განვითარება.

თავი III
პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას, პროგრამას და იხდის საწევროს გადასახადს.

3.2. პარტიის წევრად მოქალაქეს პარტიის წევრის რეკომენდაციით იღებს პარტიის ეროვნული კომიტეტი ან რეგიონული საბჭო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სხვა პარტიის ყოფილ წევრს — რეგიონული ორგანიზაციის საერთო კრება ან ეროვნული კომიტეტი. რეგიონული ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებას ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი.

3.3. პარტიის წევრთა საარჩევნო დოკუმენტაცია ინახება პარტიის რეგიონულ საბჭოსა და ეროვნულ კომიტეტში.

3.4. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს ან აირჩიონ პარტიის ნებისმიერ ორგანოში;

ბ) მიმართოს პარტიის ნებისმიერ ორგანოს წინადადებით, განცხადებით, საჩივრით და დროულად მიიღოს მათზე პასუხი.

გ) მიიღოს სრული ინფორმაცია პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის შესახებ;

დ) მიიღოს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ხელთ არსებული ინფორმაცია პარტიის საქმიანობის შესახებ;

ე) მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხის განხილვაში, რომელიც პირადად მას ეხება;

ვ) ეროვნული კომიტეტისათვის ან რეგიონული საბჭოსათვის შეტყობინებით შეაჩეროს თავისი წევრობა გარკვეული ვადის მითითებით ან მის გარეშე;

ზ) თავისუფლად გავიდეს პარტიიდან. წევრი პარტიიდან გასულად ითვლება ეროვნულ კომიტეტში ან რეგიონულ საბჭოში წერილობითი განცხადების შეტანის მომენტიდან;

თ) გააპროტესტოს მიღებული პარტიული დავალება ზემდგომ პარტიულ ორგანოში, თუ არ ეთანხმება მას.

3.5. პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პარტიის წესდება;

ბ) მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობაში;

გ) მონაწილეობა არ მიიღოს პარტიის პოლიტიკურ კურსთან შეუსაბამო საქმიანობაში;

დ) თავისი მოქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია.

3.6. წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევისათვის პარტიის წევრს ეკისრება სასჯელი. სასჯელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მის ზომას განსაზღვრავს პარტიის რეგიონული საბჭო ან ეროვნული კომიტეტი. რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი. პარტიაში დაწესებულია შემდეგი სახის სასჯელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) პარტიის წევრობის შეჩერება გარკვეული ვადით;

გ) გარიცხვა.

სასჯელის გაპროტესტება შესაძლებელია ერთი თვის ვადაში პარტიის დარბაზში.

3.7. პარტია კისრულობს მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წევრის მხოლოდ იმ მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია პარტიულ საქმიანობასთან.

თავი IV
პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის სტრუქტურული ერთეულებია საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული ორგანიზაციები. რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოა არჩევითი რეგიონული საბჭო.

4.2. რეგიონული ორგანიზაციის დაფუძნებაში მონაწილეობს ეროვნული კომიტეტის წევრი, რეგიონული ორგანიზაციის შექმნას ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი.

4.3. რეგიონულ ორგანიზაციაში ტერიტორიული ნიშნის მიხედვით შეიძლება შეიქმნას პირველადი ჯგუფები. ჯგუფი შექმნილად ითვლება, თუ მასში გაერთიანებულია სამი წევრი მაინც.

4.4. რეგიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. რეგიონული ორგანიზაციის შინაგანი წყობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ წესდებით და რეგიონული ორგანიზაციის დებულებით, რომელსაც წესდებისა და რეგიონული ორგანიზაციის სანიმუშო დებულების შესაბამისად შეიმუშავებს რეგიონული ორგანიზაციის საერთო კრება. დებულებას ამტკიცებს დარბაზი.

4.5. ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით რეგიონული ორგანიზაციები შეიძლება გაერთიანდნენ უფრო მსხვილ ერთეულებად. ამასთან, ამ გაერთიანებისათვის აუცილებელია სულ ცოტა, სამი ორგანიზაციის გაერთიანება; რეგიონული ორგანიზაციები იმავდროულად ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას.

4.6. რეგიონულ ორგანიზაციას ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიძლება მიენიჭოს იურიდიული პირის უფლება.

4.7. რეგიონული ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად. იგი ვალდებულია თავის სამოქმედო ტერიტორიაზე შეასრულოს პარტიის კურსის შესაბამისი დავალებები, რომლებსაც მას მისცემს ეროვნული კომიტეტი ან დარბაზი. მიღებული დავალების გაპროტესტება შეიძლება ზემდგომ პარტიულ ორგანოში.

თავი V
პარტიის ყრილობა

5.1. პარტიის უმაღლესი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით მოიწვევა ერთ წელიწადში ერთხელ მაინც.

5.2. პარტიის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა:

ა) დარბაზის გადაწყვეტილებით;

ბ) ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით — რეგიონული ორგანიზაციების ან პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში ან საკუთარი ინიციატივით;

გ) რიგგარეშე ყრილობა ტარდება წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მის ამოწურვისთანავე.

5.3. პარტიის ყრილობაზე დელეგირების ნორმებს ადგენს ეროვნული კომიტეტი.

5.4. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3მაინც.

5.5. ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, ოღონდ არანაკლებ სრული რაოდენობის ერთი მესამედისა, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6. ყრილობა:

ა) ისმენს მის მიერ არჩეული ორგანოების ანგარიშს, პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის ანგარიშს და აფასებს მას;

ბ) უფლებამოსილია მოითხოვოს პარტიის სტრუქტურული ერთეულების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული ან დანიშნული პარტიის წევრების ანგარიშების წარდგენა;

გ) დამსწრე დელეგატთა 2/3-ის უმრავლესობით იღებს პარტიის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

დ) ამტკიცებს პარტიის პროგრამას, საარჩევნო პლატფორმას და სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებს;

ე) ირჩევს ეროვნულ კომიტეტს;

ვ) ირჩევს საარევიზიო კომისიას 5 წევრის შემადგენლობით. ისმენს საარევიზიო კომისიის ანგარიშს და ამტკიცებს მას;

ზ) წყვეტს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის საკითხს;

თ) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის ნებისმიერი ორგანოს გამგებლობაში მყოფ საკითხზე, გააუქმოს ან შეცვალოს მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

5.7. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანოს, სტრუქტურული ერთეულისა და წევრისათვის.

თავი VI
პარტიის დარბაზი

6.1. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის უმაღლესი ორგანოა დარბაზი.

6.2. დარბაზის შემადგენლობაში არიან:

ა) რეგიონული ორგანიზაციების მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი;

ბ) ეროვნული კომიტეტის ყველა წევრი;

გ) პარტიის კომისიების თავმჯდომარეები, პარტიის აპარატის, პრესსამსახურისა და ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელები, პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს რედაქტორი;

დ) პარლამენტის წევრები და პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირები, თუ ისინი არიან პარტიის წევრები;

ე) დარბაზის მიერ კოოპტაციის წესით არჩეული პირები, რომელთა რაოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული რაოდენობის ერთ მეათედს.

6.3. დარბაზის მუშაობას წარმართავს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

6.4. დარბაზი:

ა) ისმენს პარტიის საპარლამენტო წარმომადგენლობის ანგარიშს;

ბ) ისმენს ეროვნული კომიტეტის ანგარიშს;

გ) ისმენს რეგიონული საბჭოს ანგარიშს;

დ) განიხილავს პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ საკითხებს, იძლევა შეფასებებს და რეკომენდაციებს;

ე) ამტკიცებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში პარტიიდან წარსადგენ კანდიდატთა საარჩევნო სიას;

ვ) ამტკიცებს პარტიის ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებს და ისმენს მათ ანგარიშს;

ზ) ეროვნული კომიტეტის წინადადებით აუქმებს რეგიონულ ორგანიზაციებს;

თ) აკეთებს განცხადებებს პარტიის სახელით;

ი) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

6.5. დარბაზის სხდომები ტარდება ორ თვეში ერთხელ მაინც.

6.6. დარბაზის რიგგარეშე სხდომას იწვევს:

ა) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან დარბაზის წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით;

ბ) ეროვნული კომიტეტი.

6.7. დარბაზის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ოღონდ არანაკლებ დარბაზის წევრთა სრული შემადგენლობის 1/3-ისა, გარდა ამ წესდების 6.4-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თავი VII
ეროვნული კომიტეტი

7.1. ყრილობებსა და დარბაზის სხდომებს შორის პერიოდში პარტიის საქმიანობას წარმართავს ეროვნული კომიტეტი, რომელსაც 11 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

7.2. ეროვნული კომიტეტი:

ა) შეიმუშავებს პარტიის პროგრამას, საარჩევნო პლატფორმას და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტებს;

ბ) აკეთებს პოლიტიკურ და სხვა განცხადებებს პარტიის სახელით;

გ) ამტკიცებს რეგიონული ორგანიზაციის შექმნას; შეაჩერებს მის საქმიანობას და ამ გადაწყვეტილებას წარუდგენს დარბაზს;

დ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე;

ე) თავის წევრთაგან სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს;

ვ) სრული შესადგენლობის სულ ცოტა ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით, და 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება სამი დღის ვადაში;

ზ) ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, ეროვნული კომიტეტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით თავის წევრთაგან ირჩევს ეროვნული კომიტეტის პოლიტიკურ და აღმასრულებელ მდივნებს და წყვეტს მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს, თუ ამას მოითხოვს ეროვნული კომიტეტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა 1/4;

გაგრძელება მე-7 გვ.

მე-7 გვერდიდან.

თ) ადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატთა სიას და დასამტკიცებლად წარუდგენს დარბაზს;

ი) უფლებამოსილია გააუქმოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში პარტიის რეგიონული ორგანიზაციის მიერ წარდგენილი სია ან ცვლილებები შეიტანოს მასში;

კ) უფლებამოსილია დეზავუირება გაუკეთოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის პოლიტიკურ განცხადებებს, პარტიის ქვემდგომ ორგანოთა და პარტიის თანამდებობის პირთა განცხადებებს;

ლ) უფლებამოსილია შეაჩეროს ქვემდგომ ორგანოთა გადაწყვეტილებები და დასამტკიცებლად წარუდგინოს დარბაზს;

მ) ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს და თავის გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს დარბაზს. ირჩევს მათ თავმჯდომარეებს და ამტკიცებს კომისიათა შემადგენლობას;

ნ) ქმნის პარტიის აპარატს, სპეცსამსახურს, ანალიტიკურ ცენტრს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

ო) აფუძნებს პარტიის ცენტრალურ ბეჭდვით ორგანოებს და ნიშნავს მათ რედაქტორებს, ამტკიცებს სარედაქციო კოლეგიებს. აფუძნებს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

პ) ქმნის დროებით და დამხმარე ორგანოებს;

ჟ) უფლებამოსილია მოიწვიოს პარტიული ორგანიზაციების კრებები, რეგიონული საბჭოების სხდომები; ჩაატაროს პარტიული და თემატური კონფერენციები.

7.3. ეროვნული კომიტეტის სხდომები ტარდება კვირაში ერთხელ მაინც. ეროვნული კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ისა.

7.4. ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის სტრუქტურული ერთეულებისა და პარტიის წევრთათვის.

7.5. ეროვნული კომიტეტის რიგგარეშე სხდომებს იწვევს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან ეროვნული კომიტეტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ერთი მეოთხედის მოთხოვნით. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მოთხოვნიდან 24 საათის განმავლობაში.

თავი VIII
ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე

8.1. ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია. იგი მოქმედებს პარტიის ყრილობის, დარბაზისა და ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

8.2. ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
— წარმოადგენს პარტიას სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;
— ხელს აწერს ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს;
— აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს;

8.3. ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

8.4. თავმჯდომარის არყოფნის ან თავის ფუნქციათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს პოლიტიკური მდივანი, მსგავს ვითარებაში კი მას ცვლის აღმასრულებელი მდივანი.

თავი IX
სარევიზიო კომისია

9.1. სარევიზიო კომისიას 5 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

9.2. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.

9.3. სარევიზიო კომისია აკონტროლებს პარტიის წევრებისა და ორგანოების მიერ პარტიის წესდების დაცვას, პარტიის საფინანსო საქმიანობას და თავის დასკვნებს წარუდგენს შესაბამის პარტიულ ორგანოს.

9.4. შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და შესაბამის პარტიულ ორგანოს წარუდგენს წინადადებებს პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესებისა და საკადრო ცვლილებების შესახებ.

9.5. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია სულ ცოტა სამი წევრის თანხმობა;

9.6. სარევიზიო კომისია ვალდებულია გააცნოს თავისი დასკვნა იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება.

9.7. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.

9.8. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ ყრილობის წინაშე.

თავი X
პარტიის ფინანსები

10.1. პარტიის ფინანსური წყაროებია: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრები, საწევრო გადასახადი, ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, საგამომცემლო და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობით და პარტიის სიმბოლიკის გავრცელებით შემოსული თანხები.

10.2. პარტიის ფულად სახსრებს ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად განკარგავს ეროვნული კომიტეტის აღმასრულებელი მდივანი.

თავი XI
პარტიის სიმბოლიკა

11.1. პარტიის სიმბოლიკას შეიმუშავებს ეროვნული კომიტეტი და ამტკიცებს დარბაზი.

თავი XII
პარტიის რეორგანიზაცია, ფუნქციობის შეჩერება და თვითლიკვიდაცია

12.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი დამსწრე დელეგატთა 2/3-ის უმრავლესობით:
ა) მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია;
ბ) შეაჩეროს პარტიის ფუნქციობა განსაზღვრული ვადით;
გ) მოახდინოს პარტიის თვითლიკვიდაცია და განსაზღვროს პარტიის ქონების შემდგომი ბედი

იქმენით ნათელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში

იკურთხა ტაძარი

4 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში ახმიანებულმა ზარებმა სრულიად საქართველოს აუწყა ტაძრის გახსნა. აღავლინეს ლოცვა.

მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა დიდი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს (აკურთხა კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა) და ტაძარი, რომელიც დღეს დგას უნივერსიტეტის ეზოში, ამ წმინდანის სახელზეა აგებული. საქართველოში დღემდე დიდი დავითის სახელზე ტაძარი არ აშენებულა.

5 სექტემბერს ტაძარი აკურთხა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე დანიელმა, საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენლებთან ერთად. მან აღნიშნა, ეს დღე დამადასტურებელია იმისა, რომ ქართველი ერი პოულობს ძალას რწმენითა და სიყვარულით იაროს ჭეშმარიტი აღორძინების გზაზე. ეს არის უნივერსიტეტის დაბადება მეორედ. მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის რექტორს ბატონ როინ მეტრეველს იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მან გასწია ამ ეკლესიის აღმშენებლობის საქმეში, დალოცა პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტობა.

ამავე დღეს დავით აღმაშენებლის სახელზე პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ტაძრის წინამძღვრად აკურთხეს მღვდელი ბასილი (კობახიძე).

დავით აღმაშენებლის სული შეეწიოს სრულიად საქართველოს ყოველი კეთილი საქმის აღსრულებაში.

ტაძრის გახსნას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, თანმხლებ ოფიციალურ პირებთან ერთად. სტუმართა შორის იმყოფებოდნენ მისი სამეფო უმაღლესობა დიდი თავადი ლეონიდა, ბატონიშვილი გიორგი, ბატონიშვილი მარიამი და რუსეთის ტახტის მემკვიდრე გიორგი.

მარინა ჩხაიძე

ფულიანი ტომრის რაინდები...

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოთარ ფაცაციას

ბატონო ოთარ,

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე — პრივატიზაციაზე, რომელსაც სათავე ძირითადად სახელმწიფოს მეთაურის კანონის ძალის მქონე, 1994 წლის 29 მაისის №178 დადგენილებამ დაუდო. დღეს, როდესაც ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის, გადაიდგა ნაბიჯები მსხვილი საწარმოების აქციონირებისა და ვაუჩერების დარიგების გზაზე, აჭარაში ამ თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობაა. ბრძანებულებას მოქმედების ვადა ისე გაუვიდა, რომ აქ ერთი დღეც კი არ უმოქმედია — არ განკერძოებულა მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 12 დეკემბრის №854 დადგენილებით დამტკიცებული აჭარაში საპრივატიზებო ობიექტების (სინამდვილეში არსებულთან შედარებით ფრიად შემცირებული — 141 მცირე და 49 მსხვილი საწარმო) ნუსხიდან არცერთი.

თქვენი და ამასთან, ფართო საზოგადოების საყურადღებოდ აღვნიშნავ, რომ აჭარაში პრივატიზაცია და, ზოგადად, რეფორმების პროცესი ჩაშალა ა.რ.-ის ხელისუფალთა მიერ მიღებულმა რამდენიმე ნორმატულმა აქტმა. მათგან მთავარია ორი: „ზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ჯერ კიდევ 1993 წლის 17 ივნისის ერთობლივი №5/1 საოქმო გადაწყვეტილება: „ავტონომიურ რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესის დროებითი შეჩერების შესახებ“, რომელმაც ბუნებრივია ცოტა მოგვიანებით თავს უფლება მისცა შეეჩერებინა ზემოთაღნიშნული ბრძანებულების მოქმედება აჭარაში. მოტივი — საქართველოს სხვა რეგიონებში პრივატიზების პროცესში დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით აჭარაში მისი უხარვეზოდ ჩატარება; გადაწყვეტილებას ა.რ.-ის იმავე მინისტრთა საბჭომ 16 სექტემბერს მიაყოლა ახალი დადგენილება, რომელმაც „ცალკეული ობიექტების იჯარაზე გაცემის საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მოტივით გააუქმა 700-მდე მოქმედი საიჯარო ხელშეკრულება და ამასთან სახელმწიფო „ქონების დროებითი სარგებლობისათვის გადაცემის სხვა ფორმების“ გამონახვა დაადგინა. ამ გადაწყვეტილებამაც, რომლის იმუამინდელი მიზანი იყო პირადად ა.აბაშიძისათვის უკვე მიუღებელი პირებისათვის საიჯარო ობიექტების ჩამორთმევა და მისი ახალი მოკავშირეებისა და (პოლიტიკური ფავორიტებისათვის) გადაცემა, თავის მხრივ მოგვიანებით თავს უფლება მისცა აჭარაში შეეჩერებინა პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის დადგენილება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“. მოგეხსენებათ, იგი გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა და „იჯარის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის შემოღებამდე ცნობდა ადრე სსრ კავშირის მოქმედი საიჯარო კანონმდებლობით გაფორმებული ყოველგვარი საიჯარო ხელშეკრულების კანონიერებას. იგი, ამასთან და რაც მთავარია, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანოს ავალებდა ქონების გამოსყიდვის უფლებით დადებულ ყველა კანონიერ საიჯარო ხელშეკრულების საკუთრებაში გადაფორმებას.

ამრიგად, აქ არსებითად აღარც საიჯარო კანონმდებლობა მოქმედებს. არაფერს ვამბობთ რეგიონის ხელისუფალთა მიერ წარმართულ ფარულ პრივატიზაციის იმ მასშტაბზე, რის შედეგად სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი უკანონოდ აღმოჩნდა ა.რ.-ის იმავე მმართველი გუნდისა და მისი ინტერესების გამომხატველი ვიწრო ჯგუფის ხელში.

აქვს, ან ვინმემ გადასცა თუ არა აჭარის ა.რ. ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება, ეს საუბრის სხვა თემაა. ფაქტი კი ერთია — ანტირეფორმიზმმა და რეფორმებისადმი ამგვარმა ანტისახელმწიფოებრივმა მიდგომამ, რომელიც რახანია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს და ამ დროს მინისტრთა კაბინეტის დღემდე დუმილის პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა: უქმად დაიკარგა ძვირფასი დრო, როცა შესაძლებელი იყო ასობით ობიექტის განსახელმწიფოება, უმოქმედო, უპატრონო და ზოგ

გაგრძელება მე-8 გვ.

ფულიანი ტომრის რაინდები...

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ოთარ ფაცაციას

შემთხვევაში გაპარტახების გზაზე მდგარი საავჭრო, საზკვებისა და სამრეწველო ობიექტების ამოქმედება, ათასობით ადამიანის დასაქმება და რეგიონში ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება წარმოების გამოცოცხლება. ბათუმს და მის შემოგარენს საამისოდ ყველაფერი აქვს. დღესაც კი ათასობით ადამიანი ამაოდ ელის პარლამენტის ზემოთაღნიშნული დადგენილებისა და სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების ცხოვრებაში გატარებას. მათ ართმევენ უფლებას გათვალისწინებული შეღავათებით გამოისყიდონ და საკუთრებაში გაიფორმონ ის ობიექტები, რომელშიც წლების განმავლობაში იშრომეს და, როგორც იტყვიან, ოფლი და სისხლი გაანივთეს.

თქვენთვის ცნობილია, რომ პარლამენტმა ა/წ მაისის დამდეგს მოისმინა სახელმწიფო ქონების მინისტრის ბატონ ავთანდილ სილაგაძის ინფორმაცია ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესზე. სხდომაზე მე შეშფოთებით აღვნიშნე აჭარაში პრივატიზაციის ჩაშლის ფაქტი და დავსვი აღნიშნული ბრძანებულების აჭარის მიმართ საკმარისი ვადით გაგრძელების წინადადება. ბატონმა მინისტრმა მინისტრთა კაბინეტის სახელით მთლიანად გაიზიარა ამგვარი შეფასება და მიდგომა. მოგვიანებით, 7 ივნისს იგივე მინისტრთა კაბინეტი იღებს 335-ე დადგენილებას: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ერთი ფრაზითაც კი არ არის შეფასებული აღნიშნულ რეგიონში პრივატიზაციის სფეროში არსებული საკანონმდებლო მდგომარეობა, მაგრამ ხოტბა — რამდენიც გნებავთ. დადგენილებამ ა.რ. მინისტრთა საბჭოს დაავალა ერთი თვის ვადაში მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროგრამის წარდგენა. როგორც იცით, მითითებული ვადა ამოიწურა, ხოლო პროგრამა მინისტრთა კაბინეტში ჯერაც არ არის წარმოდგენილი. „პროვინციელი აგრესორის“ დაშოშმინების პოლიტიკამ, რომელიც რახანია მის მიმართ ტარდება, ამჯერად ის შედეგი გამოიღო, რომ ივლისში ა.რ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა.აბაშიძემ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს განუცხადა: აჭარაში „თითქმის ყველა ობიექტი, საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, გავა ღია აუქციონზე რაც, ვფიქრობთ, შეფასების საუკეთესო საშუალებაა“-ო. მის დასტურად 19 და 22 აგვისტოს გაზეთმა „აჭარამ“ როგორც იქნა გამოაქვეყნა მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული აჭარაში საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. მაგრამ რად გინდათ, მას თანდართული აქვს ასეთი შენიშვნა: „ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების პრივატიზება მოხდება ღია აუქციონით“.

ამით, როგორც მოსალოდნელი იყო,გამოაშკარავდა რეგიონში პრივატიზაციის შეჩერების ფარული მიზანი: ვინაიდან სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით 1995 წლის მაისში ერთწლიანი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ გაუკერძოებელი ობიექტები აუქციონსა და კონკურსზე უნდა გაიყიდოს, აჭარის მმართველმა ზედაფენამ წინასწარ, შეგნებულად გააჭიანურა პრივატიზაციის დაწყება, ხელოვნურად შექმნა რა მისთვის სასურველი სამართლებრივი მდგომარეობა იმისათვის, რათა სულ რაღაც რამდენიმე ნუგორიში (ფულიანი ტომრის რაინდი) და ფავორიტი დაეუფლოს სხვის ქონებას, საკუთრებას ათასების უფლების უხეში შებღალვით. ეს ადამიანები, მომავალი მესაკუთრენი შიშის გამო საჯაროდ ვერ გამოხატავენ პროტესტს, ვინაიდან აქ პოლიტიკური ბანდიტიზმი და სრული უკანონობა სუფევს. ბევრმა ეს მთელი სისასტიკით თავის ზურგზე გამოსცადა. ამ დროს კი მინისტრთა კაბინეტიც არსებითად დუმს. და ასეთ ვითარებაში აჭარაში შეუდგნენ ვაუჩერების (ფასიანი ბარათების) უკუღმა დარიგებას, რომელიც სხვა რეგიონებზე უფრო უფასურდება. სად, რომელ საწარმოში ან ობიექტში ჩადებს აჭარის მცხოვრები ამ ვაუჩერს? ვაუჩერების დარიგება, მოგეხსენებათ, ხომ პრივატიზაციის პროცესის ბოლო ეტაპია, ხოლო ეს პროცესი აჭარაში თითქმის ნულოვან შკალაზეა.

ბატონო ოთარ, მოგიწოდებთ მიიღოთ დროული ზომები, რათა აჭარაში პრივატიზაციის პროცესი დაიძრას და წარიმართოს დაახლოებით ისე, როგორც ეს მოხდა საქართველოს სხვა რეგიონებში მოქალაქეთა ფართო ფენების კანონიერი უფლებების ყოველი შესაძლებელი გათვალისწინებით.

თამაზ დიასამიძე
საქართველოს პარლამენტის წევრი
აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქცია „აჭარის“ თავმჯდომარე
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი

განცხადება

გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების ან ენის შესწავლის მსურველებმა გთხოვთ მოგვმართოთ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტთან არსებული საინოვაციო ფონდის საქართველო-გერმანიის ერთობლივი ფირმა „A T GmbH“-ს, ფირმა მოგეხმარებათ სასურველი სასწავლებლის შერჩევაში, საჭირო საბუთების გაფორმებასა და გერმანიაში ორგანიზებულად გამგზავრებაში.

ფირმასთან ასევე ფუნქციონირებს გერმანული ენის შემსწავლელი კურსები, სადაც სწავლა მიმდინარეობს ე.წ. PNDS-ის, გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდა-ტესტირების პროგრამით.

ჩვენი მისამართია: გ.ჭანტურიას (ყოფილი ჯორჯიაშვილის) ქუჩა №12, ოთახი 909 ტელეფონი 98-85-38, 98-84-72

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტთან არსებული საინოვაციო ფონდის პრეზიდენტი



თარაზულად: 1. სამხატვრო გამოფენის გახსნა 5. წყლის დიდი სივრცე 7. „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორი 10. ქართული ლექსის ფორმა 12. სტილი ხელოვნებაში 13. მმართველი, გამგე, მეპატრონე 15. მგოსანი, რომელიც საკრავზე ამღერებს თავის ლექსებს 18. სახელოვანი ქართველი მეფე, დედოფალი 19. რაიმე ფაქტის ერთ-ერთი ახსნა 20. მორალური ხასიათის გამონათქვამი.

შვეულად: 2. სილამაზის განსახიერება, ვის გამოც დაიწყო ტროადის ომი 3. მატერიის თვისება 4. ხელოვნების ნაწარმოების სახეობა 6. მე-16-17 ს-ის იტალიელი უტოპისტი კომუნისტი 8. მე-19 ს-ის რუსი კლასიკოსი მწერალი 9. ლითონის ფირფიტაზე გამოსახული ნახატი ან ნახაზი, გამოიყენება ტიპოგრაფიაში 11. ფორტეს საპირისპირო ცნება 14. თანამედროვე ცნობილი ქართველი მწერალი 16. მე-19 ს-ის გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, ისტორიკოსი, მოღვაწეობდა საქართველოში 17. თანამედროვე ჩეხი მეცნიერი, ქართველოლოგი

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ვირტუოზი 2. კაკაბაძე 5. ოფორტი 7. აკორდი 9. ხოტბა 10. ზოოლოგი 12. ვარგავი 18. ატლანტი 19. ესტამპი 20. ამოკი 21. ლირიკა 22. ილიადა 23. იანკვარტო 24. ეპიტაფია.

შვეულად: 1. ვერონეზე 3. ევრიტმია 4. კრიტიკა 6. რაბლე 8. ომეგა 11. იოკაი 12. ვერჟე 13. კატალოგი 14. მარსი 15. მელოდია 16. ფარსი 17. დიაფანია.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 1500 რუბლი, შ. კ. კუპონებში.

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99, 93-18-41